





**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

**დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება**

სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს მოთამაშემ, გიორგი არევამემ, აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო და განაცხადა, რომ დაპირისპირებაში ჩაერთო გაშველების მიზნით.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 30/10/2022 გაიმართა I ლიგის V ტურის მატჩი მარნეულის „არმაზი“-სა სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს შორის. თამაშის მე-14 წუთზე წარმოქმნილი ფიზიკური დაპირისპირება, მოწინააღმდეგე გუნდების მოთამაშეებს შორის, გადაიზარდა გუნდურ ფიზიკურ დაპირისპირებაში რომელშიც ჩაერთვნენ ორივე გუნდის როგორც მინდორზე მყოფი ასევე სათადარიგო მოთამაშეები და სტადიონზე მყოფი გულშემატკივრები. წარმოქმნილი სიტუაციიდან გამომდინარე და თამაშის მონაწილე პირების უსაფრთხოების დაცვის არ არსებობის გამო, მაჩის მსაჯმა, საბა მახარაძემ, კიდის მსაჯებთან ერთად მიიღო თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება.
2. გიორგი არევამის სტატუსი, ზემოაღნიშნული ინციდენტის დროს, იყო სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს **სათადარიგო** მოთამაშე. მიუხედავად იმისა რომ, მსაჯის ნებართვის გარეშე მას არ ჰქონდა უფლება შესულიყო მოედნის სათამაშო ზონაში, იგი მაინც შევიდა მოედანზე და ჩაერთო დაპირისპირებაში.



სადისციპლინო კომისიამ ფაქტობრივი მოცემულობებისა და ვიდეომასალის განხილვის შემდეგ, სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს მოთამაშის გიორგი არევაძის ქმედება შეაფასა როგორც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის დარღვევა, იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 2 და დანართი # 3-თ და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება :

## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	4(ოთხი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	07/11/2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	12/12/2022	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში, რაგბის თამაშის დროს ნებისმიერ დონეზე.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	07/11/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.